განკარგულება:**g-31. 31232984**
თარიღი:**25/10/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №70

2023 წლის 25 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქისათვის“ (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქს“ (ს/ნ 438724490) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის, ხუთი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 231 ერთეულ გარე განათების საყრდენ ბოძზე განსაღვრული მონაკვეთი, კერძოდ:

ა. ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე, 27.00.336 საკადასტრო კოდზე არსებული 70 ერთეული გარე განათების საყრდენ ბოძის განსაზღვრული ნაწილი.

ბ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში, 27.00.356 საკადასტრო კოდზე არსებული 11 ერთეული გარე განათების საყრდენ ბოძის განსაზღვრული ნაწილი.

გ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოითში, 27.00.358 საკადასტრო კოდზე არსებული 6 ერთეული გარე განათების საყრდენ ბოძის განსაზღვრული ნაწილი.

დ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყონაგორაში, 27.00.355 საკადასტრო კოდზე არსებული 23 ერთეული გარე განათების საყრდენ ბოძის განსაზღვრული ნაწილი.

ე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვიანში, 27.00.357 საკადასტრო კოდზე არსებული 55 ერთეული გარე განათების საყრდენ ბოძის განსაზღვრული ნაწილი.

ვ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჯაპანაში, 27.00.354 საკადასტრო კოდზე

არსებული 66 ერთეული გარე განათების საყრდენ ბოძის განსაზღვრული ნაწილი.

მუხლი 2. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, კერძოდ ერთ ერთეულ ბოძზე არსებული მონაკვეთის (ნაწილის) წლიური სარგებლობის უფლების ღირებულება, შპს ,,საკონსულტაციო ჯგუფის კავკასაუდიტის“ 2023 წლის 2 ოქტომბრის N424 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, განისაზღვროს 5 (ხუთი) ლარის ოდენობით, ჯამში 231 გარე განათების ბოძის სარგებლობის ღირებულება 1155 (ათას ას ორმოცდათხუთმეტი) ლარით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე